



ქართული ეზიკისტიკური ყოფის ერთი სოციოლინგვისტიკური ნიშანი (შური)

რეზიუმე

შური მარადიული პრობლემაა მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით საქართველოში. იგი ძალიან აწუხებს და ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკონომიკურ წინსვლას, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, სამართლიანი სახელმწიფოს შექმნასა თუ სამართლიანობის აღდგენას. იგი წარმოშობით საკუთრივ ქართული სიტყვაა, რომელსაც სათანადო შესატყვისი ფუძეები მოეპოვება ქართველურ ენებში (მეგრულ-ჭანურსა და სვანურში).

შესავლის მახვილი

ვინმე შეიძლება სტატიის სათაურის წაკითხვისთანავე იფიქროს, ეს წმინდა წყლის ღინგვისტური წერილი რატომ დაიბეჭდა ეკონომისტების ჟურნალში „სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის პრობლემები)“?

სწორედ იმიტომ, რომ შური ამ XXI საუკუნის და მეტიც: მარადიული პრობლემაა მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით საქართველოში. იგი ძალიან აწუხებს და ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკონომიკურ წინსვლას, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, სამართლიანი სახელმწიფოს შექმნასა თუ სამართლიანობის აღდგენას. მოხსენება წაკითხულ იქნა სმა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც სრული სახით დღემდე არ გამოგვექვეყნებულა. ეს ის დრო იყო, როცა მხედრობის ბოლოქრობდა – საქართველოს კუთხეებს და დედაქალაქს იკლავდა, აფხაზეთში კი ძმამთაყვესილი მიმდინარეობდა, ქართველი ქართველს არ ინდობდა, როცა „პუტინ“ ზვიადისტებს (მაშინ გაჩნდა სწორედ ეს ტერმინი) საქართველოდან ერეკებოდა აი, სწორედ მაშინ ჩაგვაფიქრა ჩვენმა გაუტანლობამ: რა იყო მიზეზი ჩვენი ერთმანეთის ვერატანისა. ჩვენ წინაშე მდგარმა პრობლემამ – ფიქრით ძიებამ „შურის ამოხსნამდე“ მიგვიყვანა. კვლევის პროცესში გულს ვიმშვიდებდით, რომ ეს სიტყვა წარმოშობით ქართული არ იქნებოდა, არამედ საუკუნეების მანძილზე მტერ-ზედამდგომელთა დანატოვარი, თუმცა კვლევამ საპირისპირო დანასკვი გამოგვატანინა.

გაბრი ცხადაძე

სტუ-ს პროფესორი
E-mail: zebede@rambler.ru

ქართველთა სულიერების ისტორიაში ერის გაღვიძება-აღზევებისა თუ აღორძინება-დაცემის ჟამს ერთ-ერთი გამორჩეული და აქტიურად მოქმედი სიტყვა იყო შური. სიავის ერთ-ერთი გამოვლინება შური, რომელიც ღამის კაცობრიობის თანდაყოლილი თვისებაა, ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებშიც ფართოდ გვხვდება. მისგან არის ნაწარმოები არაერთი სიტყვა, რომელთა სრული წარმოების სურათი ასეთი გახლავთ: შური – შურობა, შურისგება, მოშურნე, საშურელი, საშურველი, უშურველი, შურისძიება, შური იძია, შეიშურვა, შურის აღდება, შურისმგებელი, შურისმძებელი, შურის საგემნი [1], [2].

ქართ. შურ- ძირს, ენათმეცნიერთა აზრით, კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული შქურ- [შქურ-ინი // შქურ-ინა // შქურ-ინ-ვა „შიში“. ეოშქურინ-ინ-უ-ან-ქ „ვაშინებ“, ო-შქურ-ანდი „საშიში“. ჭანური შქურ // შკურ- [ო-შქირ-ინ-უ // შკურინა „შიში“, ეო-შქურინ-ამ // ეო-შკურინ-ამ „ვაშინებ“, „ვეშქურები“; მ-ა-შქურინ-ენ // მ-ა-შკურინ-ენ „მეშინია“. სვან. შგურ // შგუნ- [შგურ „სირცხვილი“, ლი-შგურ „შერცხვენა“, მი-შგურ „მრცხვენი: ა-მ-შგუნ-და „შემრცხვა“ [3] [ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990], ასევე ჩვენი მასალებისეული: შგვირ ლი „სირცხვილი“ და სხვ.

ქართ. მეგრ. და ლაზ. ფორმების დაკავშირება ეკუთვნის კ. ჰ. შმიდტს [4, 144], ქართულ-სვანურისა – ჰ. ფენრიხს [5, 73] ჩვენი აზრით, ამ სიტყვათა ერთი ძირისაგან მომდინარეობა ეტიმოლოგიურად ნაკლებ სარწმუნოა: „შიში“ <– შური > სირცხვილი? აღსანიშნავია, რომ თვით „ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ ავტორები, ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე იქვე აღნიშნავენ, რომ „სემანტიკური სხვაობა, შესაძლოა, დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს ამ დაკავშირებისათვის“, თუმცა ფონეტიკურ-ბგეროვად შესატყვისობას სარწმუნოდ მიიჩნევენ. ჩვენი ვარაუდით, ქართ. შურ, რომელიც ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ფრიად გავრცელებული



სიტყვა, ვარიანტი უნდა იყოს **სურ** ფუძისა. შდრ. **მსურს** → **მშურს**. მსურს (სურ) სემანტიკურად უნდა უკავშირდებოდეს **სულ**-ს. სურ //სულ (რ//ლ), შდრ. სურს – სურვილი. ეს უკანასკნელი მიმღებური ფორმაა, რომელშიც ვინი -ავ თემისნიშნისეულია. ე. ი. აწმყოში აღდგება ისტორიულად *სურავს პირიანი ზმნა [6]

ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე და სხვ. **შურ** ლექსემას არ უკავშირებენ ქართულ **სულ**-ს (მეგრ. შურ-ი „სული, სუნი, შურ-ამ-ი „სუნიანი“, ლაზ. შურ- „სული, სუნი“, სვან. შურ- ლი-შურ-იელ „ამოხვრა“).

ვფიქრობთ, ქართ. **შურ** და ქართ. **სულ**-ის ერთმანეთთან დაკავშირება სავსებით შესაძლებელია ასეთი სემანტიკური გზით: **სულ**-ი [სულიერება] → შურ-ი [სული – სურვილი – შურვილი, „ცუდი სურვილი“, ბოროტგანზრახვა]. ამ მხრივ საყურადღებოა ს-ს ორბელიანისეული **შურის** განმარტება: „**შური** – მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა“ (**შენიშვნა**: ამ წერილის დაწერიდან დაახლოებით 7-8 წლის შემდეგ ბაჩანა ბრეგვაძემ გაზეთ „ახალი ეპოქის“ დამატებაში გაზ. „ჩვენ მწერლობაში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც სულხან-საბასეულ ამ განმარტებას ერთ-ერთ მართლმადიდებელ წმიდა მამას მიაწერს [იხ. ბ. ბრეგვაძე].

ამრიგად, **შური** ბოროტებაა, ბოროტების ნაირსახეობა. **შური** – ესაა ადამიანის, პიროვნების პირადი, ბოროტი სულის // სურვილის გამოვლინება ვინმეს ან რაიმეს მიმართ (შდრ. ამ მხრივ ნ. ბარათაშვილის ლექსთა სათაურები: „სული ობოლი“, სულო ბოროტი“). ამრიგად, **ბოროტი სული** იგივე **შურია**, – ადამიანში სულის უარყოფითი, ნეგატიური გამოვლინება.

როგორც ჩანს, **სულისაგან შურ** ლექსემის მიღება მხოლოდ საკუთრივ ქართულ ენაში მომხდარა: შურმა (რადგან იგი **სულ** სიტყვასთან შედარებით უფრო გვიანდელია) ქართველურ ენებში შესატყვისობა ვერ მოგვცა: ვერც მეგრულ-ჭანურსა და ვერც სვანურში. ამ ენებში **შურის** აღსანიშნავად სხვა ფუძეა გამოყენებული. მაგ., ქართულ „შურს“ შინაარსით შეესაბამება სვანური „თხამ“.

„თხამს როქ ჩოთბაცა მეზგე ი ხარბს ჩოთშაანვა“, რაც ნიშნავს: „შურმა დაღუპაო ოჯახი (ქვეყანა) და (მი)ბაძეამ (სიხარბემ) ააშენაო [ცნობა მოგვაწოდა უშგულელმა სვანმა, კოლეგა-ფილოლოგმა ნაპო კაკრიაშვილმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ].

ეგვევ, მსგავსი, გამოთქმა ქართულ-ხალხურ ლექსშიც არის შემონახული:

„შურმა დაღუპა (დაავსო) ქვეყანა, ბაცილმა ააშენაო“.

შური ამ შემთხვევაში ბოროტი სულია, **ბაცილი** კი – იგივე **მაცილი** ანუ **ეშმაკი**. რა გამოდის? როგორც ჩანს, ქართველ კაცს არ გამოჰპარვია თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ამქვეყნიურ ცხოვრების „შენების წესი“, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მდინარებაზე ეთქვა, რომ კეთილი (იდეა, საქმე...) ყოველთვის იჩაგრება, ითრგუნება, ხოლო აღზევებული ბოროტება – სული ბოროტი ანუ **შური** სიკეთეზე იმარჯვებს.

შეიძლება დავასკვნათ: **სულ**-ი, როგორც ფუძე, სახელმა შემოინახა (სახელური ფუძე), ხოლო **სურ** – ზმნურმა ფორმებმა (ზმნური ფუძე). უძველესი ანუ არქეტიპია **სულ**-ი (I საფეხური), შემდეგია **სურ** (II საფეხური), და ბოლო III საფეხურია **შურ**-ი, რომელიც ქართული ენის ზმნურ და სახელურ სიტყვაწარმოებაშიც დღემდე გვაქვს შემორჩენილი.

ამრიგად, **მსურს** ნიშნავს რომ „მე უფრო კეთილი მსურს (მინდა ჩემთვის, შენთვის ან სხვისთვის)“, **მშურს** კი – „შენთვის, სხვისთვის სიკეთე არ მინდა, არაკეთილი სურვილი მამოძრავებს, ბოროტებით ვარ გამსჭვალული“ (ანალოგიისათვის შდრ. გიორგი მერჩულეს გრიგოლ ხანცთელის ერთ-ერთი მოქმედი გმირი ცქირი, ანჩის საყდრის წინამძღვარი, ცქირი როგორ „აღიშურვა“ არქიმანდრიტ გრიგოლის მიმართ). შდრ. ანალოგიური სემანტიკური გადასვლა ქართულში: **გობ**-ი (ძვ. ქართ. „გამოქებაული“) → მეგობარი (გობში, გამოქებაულში თანამცხოვრები) → მეკობარი (სიტყვა-ტერმინია ქართული ენის მთის კილოებში და ქართულ ზეპირსიტყვიერება-ფოლკლორისტიკაში) // მეკობრე (ხმელეთისა და ზღვის ყაჩაღი) სხვისი ქონების მიმთვისებელი, ყაჩაღობის თანამონაწილე – თანამზრახველი, „ყაჩაღის ყაჩაღი-მეგობარი“.

და კიდევ ერთი: თანამედროვე ქართულ ენა-მეტყველებაში არსებობს გამოთქმები „**თეთრი შური**“, „**კეთილი შური**“ ანუ **გვიჯი**, როგორც ცნობილი ლექსიკოგრაფი დ. ჩუბინაშვილი განმარტავს: „გვიჯი არს კეთილი შური“ (გვ. 428). ვფიქრობთ, აქ ფაქტის დამახინჯების აღქმასა და შერქმევასთან გვაქვს საქმე. იგი არაქართული (უცხოური, კერძოდ, რუსულია) გამოთქმაა, რომელსაც ვერ შეხვდებით მე-19 საუკუნემდე ვერც ერთ ქართულ მხატვრულ-ლიტერატურულ-სამწერლობო და ისტორიულ-დოკუმენტურ წყაროში. ასე რომ, „კეთილი შური“, ისე როგორც „თეთრი შური“ არ არსებობს, შური – შურია, ბოროტებაა, „კეთილი შური“ ეს კალკირებული გამოთქმა მეტადრე თანამედროვე ქართველი კაცის ცნობიერებაში მიბადვის შინაარსით უფროა ნახშიარი. შდრ. ციტატა თანამედროვე გამოკვლევიდან: „...ნოდარის



სიკვდილი რომ გავიგე, ვერაფრით დავიჯერე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, იგი ას წლამდე იცოცხლებდა და, თუ მაინც სიკვდილი ეწერა, სადმე მწვერვალზე ასვლისას ან ისეთ გმირულ სიტუაციაში დაიღუპებოდა, როგორც მისი საყვარელი მწერალი გურამ რჩეულიშვილი დაიღუპა, რომლისაც მას **თეთრი შური** **შურდა** [10. 295]. გაირკვა, რომ სიტყვა-ტერმინი **შური** და მისგან ნაწარმოები სხვა სიტყვები და გამოთქმები ქართული ეგზისტენციალური ყოფიდან იღებს სათავეს. თვით **შურ** ძირის შემცველი შურისძიება ხომ ერთგვარი „სისხლის აღებაა“ მეორის მიმართ, რომელსაც ქართულ ეთნოკულტურულ სივრცეში დასასრული არ უჩანს. შურის შესახებ XX საუკუნის ბოლო მეოთხედში ამახვილებდა ყურადღებას მკვლევარი აღ. ხელაშვილიც, რომელიც შურს ბოროტებას უწოდებს [იხ. 11, 4]. **შენიშვნა:** შურის ეტიმოლოგიის შესახებ, როგორც ცნობილი ქართველი რეჟისორი რ. სტურუა გაუწევს, რომ სტატიის დაწერას აპირებდა, სამწუხაროდ, ეს მოლოდინი არ გამართლდა (იხ. 12).

მართალია, შური უცხო არ არის სხვა ეთნოსებისა და კულტურული ერებისათვის [იხ. თუნდაც ა. გელოვანის „სიბრძნის სიმფონიაში“ გოეთეს და სხვათა აფორისტული გამონათქვამები **შურის** შესახებ], მაგრამ ეს თვითდადამწმედების წამალი ან მაღა-

მო ვერ იქნება ქართველი ერის იდეურ-ტერიტორიული გათლიანებისა, სხვაგვარად რომ ვთქვათ: ჩვენი თავი და მომავალი ჩვენს ხელშია, თუმცა სანამ შური იარსებებს, ქართველიც იარსებებს, მაგრამ ამ ყოფით, როგორშიც ვართ, რაზეც ერთ-ერთ ინტერვიუში მიგვანიშნებს კულტუროლოგი ფრანკ ტრემელიც: „სანამ ლიბერალური საზოგადოების ინტერესები არ გადაილახება, ქართველთა თვითგანადგურებას ბოლო არ ექნება“ [13].

ჩვენი საბოლოო დასკვნით, პოლიტიკურ-ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის (ლარის დევალვაცია-გაუფასურება და ა. შ.) სადავეები ჩვენ ხელთაა, სათავეშიც ჩვენ ვდგავართ, ჯერ კიდევ...

ადვილია, სენშეპრობილება სხვას გადაავარდლოთ....

შურის დავიწყებისათვის ქართული დემოკრატიის „მამებს“, ევროინტეგრაციის დამწერ-გავეებს და სახელმწიფოს გამრიგეთ ანატოლ ფრანსის (1844-1924) სიტყვებს შევახსენებთ: „ოდესმე ყველას ჩაგველაპავს არარსებობა. ეცადეთ ამის დავიწყებას“.

ჩვენც ვეცადოთ: „ცდა ხომ ბედის მონახვერია“.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973;
2. ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1995 32. 3. ზ. სარჯველაძე, პ. ფენრიხი, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990,
4. R. H. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962.
5. H. Fänrich, Kartvelisches Wortgut: Georgica – Jena -Tbilissi.
6. ბ. ცხადაძე, მასდარის წარმოება ძველ ქართულში (აწმყოს ფუძის ისტორიასთან დაკავშირებით), თბ., 1984.
7. ს-ს ორბელიანი, თხზულებანი ოთხ

ტომად, ტ. IV. ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბ., 1966.

8. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა. აღდგენილი ოფსეტის წესით. სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1984.

9. იზ. ხაინდრავა, ნახევარი საუკუნე თეთრ ტაძარში (მტრისები ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მატიანისათვის), დ. ტყეშელაშვილს რედაქციით, „უნივერსალი“, თბ., 2005.

10. ა. ხელაშვილი, შური. გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1976 წლის 16 სექტემბერი, გვ. 4]

11. ფ. ტრემელი, presa. ge. file // Documents and Settings [User\Desktop]index.php.htm).

ONE SOCIO-LINGUISTIC FEATURE OF GEORGIAN EXISTENTIAL BEING (ENVY)

BADRI TSKHADADZE, Professor of GTU

Summary

Envy is a perpetual problem in the whole world, particularly in Georgia. It causes much inconvenience and hampers our country's political and economic progress, formation of civil society, creation of a just state and restoration of justice. By origin it is a Georgian word proper, which has appropriate corresponding stems in Kartvelian languages (the Megrelian-Chan and Svan).



სოციალური ეკონომიკა

XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები

(მეოთხე ნომრის დამატება)
ლექციების კურსი



ნაწილი მეექვსე

ბანაწილება

- თაზო 15. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების სტრატეგია
 თაზო 16. რეკლამა და ფაბლიკ რილეიშენი
 თაზო 17. პირადი გაყიდვები და გასაღების სტიმულირება
 თაზო 18. მარკეტინგი ინტერნეტის ეპოქაში

მე-15 თავი ეძღვნება მასობრივი კომუნიკაციების ორ ინსტრუმენტს-რეკლამას და ფიარს. ეს კომუნიკაციის ყველაზე უფრო გაშუალებული და დეპერსონალიზებული ფორმაა. ჩვენ განვიხილავთ, თუ მათი დახმარებით როგორ შეიძლება აუდიტორიას ვაცნობოთ სამომხმარებლო ფასეულობის შესახებ და მყიდველებისაგან მივაღწიოთ სხვადასხვა რეაქციას.

მე-16 თავში განიხილება პირად გაყიდვთა და გასაღების სტიმულირების როლი სამომხმარებლო ფასეულობის შემნაშიდა მის შესახებ მომხმარებლებზე ინფორმაციის გადაცემის შესახებ. პირადი გაყიდვა გამყიდველისა და მყიდველის (ან პოტენციური მყიდველის) საერთაშორისო ურთიერთობაში მდგომარეობს გარიგების განხორციელების ან ურთიერთდამოკიდებულებათა შენარჩუნების მიზნით. გაყიდვათა სტიმულირება მოკლევადიან ღონისძიებებში მდგომარეობს, რომელიც მპმხმარებლებს ამა თუ იმ საქონელთა შეძენის განხორციელებაში შეაგულიანებს. თუკი მასობრივი რეკლამა და პირადი ყველაზე უკეთ ემსახურება ბრენდის შესახებ საქმეში ჩახედულობის გგავრ-

ცელების მიზნებს და კლიენტების კომპანიისა და მისი საქონლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, მაშინ პირადი გაყიდვები და გასაღების სტიმულირების ღონისძიებები მიმართულია გაყიდვათა მოცულობების გადიდებაზე.

მე-17 თავში მოთხრობილია პირდაპირი მარკეტინგის როლის შესახებ მყიდველთა ინფორმირებისა და პერსონალიზებულ ურთიერთობათა ჩამოყალიბებაზე მიზნობრივი აუდიტორიების წარმომადგენლებთან. არაპირდაპირი მარკეტინგის ისეთი საშუალებები, როგორიცაა ტელეფონი, ტელევიზია, საფოსტო გზავნილები „კატალოგები, ინტერნეტი და ახალი ციფრული მედია, მარკეტინგული გზავნილების გადაცემის მნიშვნელოვანი საშუალება გახდა პირად შეხვედრებთან და კლიენტებთან ერთობლივ მუშაობასთან ერთად. ამ თავში ჩვენ მოგიყვებით იმის შესახებ, თუ ინტერნეტ-მარკეტინგი, პირდაპირი მარკეტინგის უფრო დინამიური ფორმა და ახალი ციფრული ტექნოლოგიები როგორ გამოიყენებიან სამომხმარებლო ფასეულობათა შესაქმნელად ინტერნეტ-ბაზრებზე.